# კვლევითი ნაშრომის კომპონენტები

ლია წულაძე

ასოცირებული პროფესორი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, თსუ;
აღმასრულებელი დირექტორი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი

(აღნიშნული პრეზენტაცია გახლავთ მოდიფიცირებული ვარიანტი ერაზმუსის პროექტისთვის “Integrity” შექმნილი პრეზენტაციის)

# კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა

- სათაური
- ანოტაცია
- შესავალი (კვლევის დიზაინით)
- ლიტერატურის მიმოხილვა (თეორიული ჩარჩოთი)
- კვლევის მეთოდ(ებ)ი
- კვლევის შედეგები
- დასკვნა
- ბიბლიოგრაფია
- დანართი (საჭიროების შემთხვევაში)

# სათაური

- სათაური: საკვლევი მიზნის მოკლე და ეფექტური შაბემაჯე.
- რა ინფორმაციას გვაწვდის შემდეგი სათაური: „ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში”? რა არის წარმოდგენილი კვლევის მიზანი?
- როგორ ახდენენ ქართველი პოლიტიკოსები და მოსახლეობა სასურველ თვითპრეზენტაციას საქართველოს ევროპეიზაციის კონტექსტში და რა გზავნილები იკითხება მათი „სცენური შესრულების“ (Goffman, 1956) მიღმა.

# ანოტაცია

- ანოტაცია: კვლევის მოკლე აღწერა .აზემაჯეშ უთ
- ანოტაციაში თითო წინადადებით აღწერილია კვლევის მიზანი, მეთოდი, ხშირად თეორიული ჩარჩოც, ძირითადი მიგნებები და დასკვნები.
- ანოტაციის დაწერის საუკეთესო სტრატეგიაა, რომ წარმოვიდგინოთ, თითქოს, 2-3 წუთში უნდა ავუხსნათ ჩვენი კვლევის არსი უცხო აუდიტორიას, რომელსაც მის შესახებ არ სმენია.

# ანოტაციის ნიმუში

მრავალწლიანი მცდელობის შემდეგ, 2014 წლის ივნისში, საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას მოაწერა ხელი [1]. საქართველოს მცდელობას სხვადასხვა ფაქტორი უდევს საფუძვლად, რომელთა ორ დიდ კატეგორიად - პრაგმატულ და იდენტობის ფაქტორებად - დაყოფა შეიძლება და რომლებიც თვალსაჩინოდ ვლინდება ქართველების პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებში ევროპეიზაციის შესახებ [2]. სწორედ ამგვარი დისკურსების შესწავლას ისახავდა მიზნად კვლევითი პროექტი სახელწოდებით „ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური და პოპულარული დისკურსები ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში," რომელიც კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის მხარდაჭერით განხორციელდა 2014-2016 წლებში [3]. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენლებთან და 18 ფოკუსჯგუფი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან [4].

# ანოტაციის ნიმუში (გაგრძელება)

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მონაწილეები გვთავაზობენ სოციალურად სასურველ ნარატივებს ევროკავშირისა და საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ, რომლებიც თანხმობაშია საქართველოს  საგარეო პოლიტიკურ კურსთან; თუმცა, ამ ფასადს მიღმა მათი საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულებები იჩენს თავს [5]. მართალია, ამგვარი ამბივალენტობა მოსალოდნელი იყო იდენტობის ფაქტორის განხილვისას (ქვეყნის ევროპეიზაცია მოიაზრება ერთდროულად ქართული იდენტობის დაცვის საშუალებად და მისთვის საფრთხის მატარებლად), მაგრამ აღმოჩნდა, რომ პრაგმატული ფაქტორების (ქვეყნის უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება, პოლიტიკის კეთების ევროპულ მოდელზე გადასვლა) შესახებ ნარატივებიც საკმაოდ ამბივლენტურია [6]. კერძოდ, რესპონდენტებს აშინებთ, რომ უსაფრთხოების დაცვას შესაძლოა ევროკავშირის მხრიდან ქვეყნის სუვერენიტეტის შესუსტება მოყვეს, რომ ეკონომიკური განვითარება შესაძლოა მხოლოდ ფორმალური კრიტერიუმების და არა რეალური მაჩვენებლების საფუძველზე შეფასდეს, და რომ ქვეყნის ევროპეიზაციის მცდელობა შესაძლოა მხოლოდ პოლიტიკოსების მიერ მოსახლეობისთვის შექმნილი პოლიტიკური იმიჯის ნაწილი იყოს და არ გამოიწვიოს რეალური ცვლილებები [7]. ამდენად, კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად ქართველების მიერ ქვეყნის ევროპეიზაციის მხარდაჭერისა, ეს უკანასკნელი მათ, გარკვეულწილად, აფრთხობს კიდეც, რაც როგორც პოპულარულ, ისე პოლიტიკურ დისკურსებში ვლინდება [8].

# განხილული ანოტაციის სტრუქტურა

- წინადადება 1: კონტექსტის შექმნა;
- წინადადება 2: თეორიული ჩარჩოს გაცნობა;
- წინადადება 3: კვლევის მიზანი (და დამფინანსებელი);
- წინადადება 4: კვლევის მეთოდი;
- წინადადება 5-6: კვლევის შედეგი (მიგნებები);
- წინადადება 7: ემპირიული სამხილი ძირითადი არგუმენტის გასამყარებლად;
- წინადადება 8: დასკვნა.

# შესავალი [კვლევის დიზაინი]

- პრობლემის დასმა და მისი აქტუალობის დასაბუთება;
- კვლევის მიზანი და ამოცანები;
- სამუშაო ჰიპოთეზა (ქვეჰიპოთეზები);
- სამიზნე ჯგუფი და შერჩევის დეტალები;
- მონაცემების მოპოვების და ანალიზის მეთოდები;
- კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა;
- კვლევის შეზღუდვები.

# პრობლემის დასმა

- საკვლევი პრობლემა კონცეპტუალურ ჩარჩოშია წარმოდგენილი, რომელიც შესასწავლი სოციალური ფენომენის არსებულ მდგომარეობას და საკვლევად მნიშვნელოვან ასპექტებს აღწერს. პრობლემის დასმისას ხდება:
- ზოგადიდან კონკრეტულის მიმართულებით მოძრაობა;
- ფოკუსის თანმიმდევრულად დავიწროვება კვლევის მიზნის და ამოცანების მიმართულებით;
- კონცეპტუალიზაცია - საკვანძო ცნებების განმარტება (დეფინიცია);
- ოპერაციონალიზაცია - საკვანძო ცნებების ემპირიული საზომების (ინდიკატორების) შემუშავება.

# კვლევის მიზანი და ამოცანები

- კვლევის მიზანი ნაშრომის ძირითად ფოკუსს შეესაბამება და ყოველთვის ერთია.
- ამოცანები მიზნის შემადგენელი თემატური ასპექტებია (და არა აქტივობები, რაც მიზნის მისაღწევად არის საჭირო).
- კითხვარის სათაური კვლევის მიზანს შეესაბამება, თემატური სექციები - ამოცანებს, თითოეული სექციის ქვეშ წარმოდგენილი შეკითხვები კი - შესაბამისი ამოცანის ოპერაციულ დეფინიციებს.

# კვლევის მიზნის ამოცანებამდე დავიწროვების ნიმუში

- კვლევის მიზანი: რა ფაქტორები განაპირობებს ქართველ სტუდენტებში ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ განწყობების ფორმირებას.
- ევროპეიზაციის ლიტერატურაში ამგვარ ფაქტორთა ორი კატეგორიაა განხილული: პრაგმატული და იდენტობის, რომელთა კონცეპტუალიზაცია-ოპერაციონალიზაცია უნდა მოვახდინოთ.
- კონცეპტუალიზაცია: რას ნიშნავს პრაგმატული და იდენტობის ფაქტორები.
- ოპერაციონალიზაცია: როგორ უნდა გაიზომოს პრაგმატული და იდენტობის ფაქტორები.

# კვლევის მიზნის ამოცანებამდე დავიწროვების ნიმუში (გაგრძელება)

- პრაგმატული ფაქტორები:
  - ✓ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა/აღდგენა;
  - ✓ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება;
  - ✓ პოლიტიკური სისტემის ქმედითუნარიანობის გაუმჯობესება.
- იდენტობის ფაქტორი:
  - ✓ ეროვნული იდენტობის წინაშე არსებული საფრთხეების ხედვა.

# კვლევის მიზნის ამოცანებამდე დავიწროვების ნიმუში (გაგრძელება)

- საკვლევი ამოცანები: ევროპეიზაციის პროცესის გავლენით, როგორ ესახებათ ქართველ სტუდენტებს
  - ✓ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრა;
  - ✓ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილება;
  - ✓ პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ცვლილება;
  - ✓ ეროვნული იდენტობის გაძლიერება/შესუსტება.

# კვლევის ჰიპოთეზა

- სამუშაო ჰიპოთეზა: მკვლევრის სამეცნიერო ვარაუდი კვლევის მოსალოდნელ ძირითად შედეგთან დაკავშირებით;
- ქვეჰიპოთეზები: მკვლევრის წინასწარი მოლოდინები თითოეულ ამოცანასთან დაკავშირებით.
- კვლევას აქვს ერთი სამუშაო ჰიპოთეზა და საკვლევი ამოცანების შესაბამისი რაოდენობის ქვეჰიპოთეზები.
- რაოდენობრივ კვლევაში ყოველთვის წარმოდგენილია ჰიპოთეზები, თვისებრივში კი - მკვლევარს შესაძლოა ჰქონდეს ან არ ჰქოდეს წინასწარი მოლოდინები კვლევის შედეგებთან დაკავშირებით.

# რა არის/არ არის ჰიპოთეზა

- ჰიპოთეზა ვერ იქნება დებულება, რაც კარგად ცნობილია და არგუმენტირებას აღარ საჭიროებს. მაგ.: ევროკავშირის რეგულაციების ადგილობრივ დონეზე დანერგვა აუცილებელი პირობაა ევროკავშირის წევრობისთვის.

- ჰიპოთეზა ვერ იქნება დებულება, რაც უკვე დადასტურებული და აღიარებულია მოცემული დისციპლინის მიერ. მაგ.: ურბანიზაცია ინდუსტრიალიზაციის თანმდევი პროცესია.

- ჰიპოთეზა გულისხმობს არგუმენტს, რომელმაც შესაძლოა თანხმობა ან არდათანხმება გამოიწვიოს და მისი დადასტურება მოცემული ემპირიული კვლევის შედეგად უნდა მოხდეს. მაგ.: მკვლევარმა შესაძლოა ივარაუდოს, რომ ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართ დამოკიდებულებების ფორმირებისას პრაგმატული ფაქტორები გადასწონის იდენტობისას ან პირიქით. შესაბამისად, დაგეგმილმა ემპირიულმა კვლევამ უნდა აჩვენოს, რამდენად გამართლდება ან არ გამართლდება მისი ვარაუდი.

# შერჩევა

- კვლევის სამიზნე ჯგუფი/პოპულაცია (იქნება ეს ადამიანები, დოკუმენტები, ვიზუალური მასალა თუ სხვ.);
- შერჩევითი ერთობლიობა, ანუ მოცემული პოპულაციიდან ადამიანების, ორგანიზაციების თუ დოკუმენტების ის კონკრეტული ერთობლიობა, რომელიც უშუალოდ ემპირიულ კვლევაში ხვდება;
- შერჩევის მეთოდი, ანუ რა გზით მოხდა მთლიანი პოპულაციიდან უშუალოდ კვლევაში მონაწილე ადამიანებისა თუ სხვა ერთეულების (ორგანიზაციების, დოკუმენტების და ა.შ.) შერჩევა.
- როგორც წესი, რაოდენობრივ კვლევაში ალბათური, რეპრეზენტატული შერჩევა გამოიყენება, თვისებრივ კვლევაში კი - არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა.

# მონაცემების მოპოვების & ანალიზის მეთოდები

- მონაცემების მოპოვების მეთოდები თვისებრივ კვლევაში: სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფი, ეთნოგრაფიული კვლევა, დოკუმენტების ანალიზი, ქმედების კვლევა, შემთხვევის შესწავლა.
- მონაცემების ანალიზის მეთოდები თვისებრივ კვლევაში: თვისებრივი კონტენტანალიზი, დისკურსის ანალიზი, ვიზუალური ანალიზი.
- მონაცემების მოპოვების მეთოდები რაოდენობრივ კვლევაში: მასობრივი გამოკითხვა, დოკუმენტების ანალიზი, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი.
- მონაცემების ანალიზის მეთოდები რაოდენობრივ კვლევაში:რაოდენობრივი კონტენტანალიზი, სტატისტიკური ანალიზი.

# კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა

- რა წვლილი შეაქვს მოცემულ კვლევას კონკრეტული მიმართულების/დარგის განვითარებაში თუ არსებული აკადემიური ცოდნის გამდიდრებაში; მაგ.: ევროპეიზაციის სოციოლოგიის მიმართულების განვითარება საქართველოში.

- რა პრაგმატული ფუნქცია აქვს კვლევის შედეგებს სამიზნე ჯგუფის წევრებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის, და რა კონკრეტულ რეკომენდაციებს სთავაზობს პოლიტიკის შემქმნელებს არსებული ვითარების გაუმჯობესების მიზნით. მაგ.: კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლოა კონკრეტული რეკომენდაციები შემუშავდეს ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის, რაც მათ ქვეყნის ევროპეიზაციასთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვასა და წარმართვაში დაეხმარება.

# კვლევის შეზღუდვები

- რისი კვლევა ვერ მოხერხდა ან არასათანადოდ მოხდა დროის და ფინანსების სიმცირის, შერჩევის პრობლემის ან სხვა ხელისშემშლელი ფაქტორების გამო.
- ნაშრომს მეტ აკადემიურობას სძენს, რადგან აჩვენებს, რომ თავად მკვლევარი აცნობიერებს მისი კვლევის შეზღუდვებს და გვთავაზობს იმ საკითხებს, რისი დაფარვაც მოცემული კვლევის შემთხვევაში, მართალია, ვერ მოხერხდა, მაგრამ სამომავლო კვლევებისთვის მიზანშეწონილი თუ რეკომენდებულია. მაგ.: თუ ევროპეიზაციის შესახებ მოცემული კვლევის ფარგლებში სრულყოფილად ვერ იქნა შესწავლილი ყველა პრაგმატული ფაქტორის როლი, მკვლევარმა უნდა ახსნას ამის მიზეზები და შემოგვთავაზოს სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები.

# ლიტერატურის მიმოხილვა

- ნაშრომის თეორიული ჩარჩოს შემუშავება;
- ამ თეორიული ჩარჩოს ფარგლებში იმ კვლევების განხილვა, რაც მოცემულ ემპირიულ კვლევას უშუალოდ ეხმიანება. ლიტერატურის მიმოხილვა არ ნიშნავს უბრალოდ არსებული ,საბემაჯეშ სიბევქელვკ ;საისქელფვერ რუკიტილანა ეზთამ დემარა
- მოცემული კვლევის კონტექსტუალიზაცია წარმოდგენილი თეორიული ჩარჩოს და არსებული კვლევების ფარგლებში იმგვარად, რომ სიმორშან სთენამთრე იბელიწან ილუირიპმე ად ილუიროეთ ."სედობერბუასე„

# კვლევის მეთოდი

- კვლევის მეთოდის დეტალური აღწერა (განსხვავებით კვლევის დიზაინისგან, სადაც ის გაცნობითი ხასიათისაა):

✓ როგორ იქნა შერჩეული საკვლევი გარემო (ამ გარემოს ფიზიკური და სოციალური მახასიათებლები, კერძოდ, იმ ადგილების, ადამიანების და სიტუაციების აღწერა, რომლებიც დეტალურად იქნება განხილული ემპირიული მონაცემების ანალიზისას);

✓ როგორ მოიპოვა მკვლევარმა წვდომა მოცემულ გარემოზე, როგორ შეარჩია კვლევის მონაწილენი და როგორ შეიმუშავა კვლევითი სტრატეგიები;

✓ კვლევის პროცედურების დეტალური აღწერა - როგორც მონაცემების მოპოვების, ისე ანალიზის მეთოდების, დაწყებული კოდირების პროცედურით და დასრულებული მონაცემების ინტერპრეტაციით.

# კვლევის შედეგები

- მოპოვებული მონაცემების განხილვა და ინტერპრეტაცია არსებული თეორიული ჩარჩოს კონტექსტში.
- სოციალური მეცნიერების მიზანი პრობლემაზე ფოკუსირებული ზოგადი ანალიზის (Weiss, 1994) განხორციელებაა, ამიტომ კვლევის შედეგების განხილვის ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა, მონაცემების თემატურ კატეგორიებად ორგანიზება და შესაბამის სამხილთან ერთად წარდგენა, იქნება ეს სტატისტიკური მონაცემები რაოდენობრივ კვლევაში თუ ციტატები ან ვიზუალური მასალა თვისებრივ კვლევაში.

# დასკვნა

- კვლევის ძირითადი შედეგების შეჯამება და სამომავლო კვლევებისთვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოყოფა.
- მკვლევარი მოკლედ იმეორებს კვლევის მიზანს, აჯამებს კვლევის ძირითად მიგნებებს და ხაზს უსვამს მათ თეორიულ თუ პრაქტიკულ მნიშვნელობას.
- სამი შესაძლო სტრატეგია დასკვნის ორგანიზებისთვის:

1. არგუმენტის მოდიფიცირება ემპირიული მასალის საფუძველზე;
2. არგუმენტის დაკავშირება შესაბამის თეორიასთან თუ მისი კონტექსტუალიზაცია არსებული ლიტერატურის ფარგლებში;
3. არგუმენტსა და მასთან დაკავშირებულ მეთოდოლოგიურ თუ ანალიტიკურ საკითხებზე „მეტაკომენტარის" დართვა (Emerson, Fretz, Shaw, 1995, 205).

მკვლევარს შეუძლია ერთ-ერთი სტრატეგიის გამოყენება ან თუნდაც სამივეს კომბინირება ერთ მოგრძო, კომპლექსურ დასკვნაში.

# ბიბლიოგრაფია & დანართი

- ბიბლიოგრაფია - ყველა გამოყენებული წყაროს ანბანური თანმიმდევრობით მითითება, ციტირების ერთი კონკრეტული სტილის დაცვით.
- დანართი - დამატებითი საილუსტრაციო მასალა, რაც ძირითად ტექსტში ვერ მოხვდა, თუმცა მისი გაცნობა მიზანშეწონილია კვლევის დეტალების უკეთ გასაგებად.

# პლაგიატის არსი

- სხვების სიტყვების და იდეების ნებით თუ უნებლიედ მითვისება, მათი წყაროს მითითების ან თუნდაც თვალსაჩინოდ მითითების გარეშე.

- <u>პლაგიატის ნიმუშები:</u>

✓ სხვისი ნაწერის საკუთარ ნაშრომად გასაღება;

✓ წინადადებების, პარაგრაფების ან მთელი ამონარიდების გადმოტანა სახელმძღვანელოდან, ვებგვერდიდან ან სხვა ნებისმიერი წყაროდან მათი ციტირების ან ადეკვატური პერიფრაზის გარეშე;

✓ თვითპლაგიატი - მონაცემები ან არგუმენტები ჩვენი წინა ნაშრომებიდან მოგვყავს და ამ ნაშრომებს არ ვუთითებთ.

# პლაგიატის თავიდან არიდება

- ყველა გამოყენებული წყაროს მითითება როგორც ბიბლიოგრაფიაში, ისე თავად ტექსტში, მათი გამოყენებისთანავე;
- პირდაპირ გადმოტანილი აზრის ბრჭყალებში ჩასმა და წყაროს ზუსტი მითითება, შესაბამისი გვერდ(ებ)ის ჩათვლით;
- თუკი პირდაპირ არ ხდება სხვისი სიტყვების გადმოტანა, არამედ მათი შეჯამება, საჭიროა ადეკვატური პერიფრაზი (4-5-ზე მეტი სიტყვის იმავე თანმიმდევრობით გამეორება, როგორც დედანშია, პლაგიატის ნიმუშია);
- 30 სიტყვამდე მოცულობის ციტატის ტექსტშივე მითითება და ბრჭყალებში ჩასმა; 30 სიტყვაზე გრძელი ციტატის ძირითადი ტექსტიდან გამოყოფა და განსხვავებული ფორმატით ან უფრო მცირე ზომის ტექსტით ჩასმა, ბრჭყალების გარეშე, თუმცა ავტორის გვარის, გამოცემის თარიღის და შესაბამისი გვერდ(ებ)ის აუცილებლად მითითება.

# ბიბლიოგრაფიის მითითების გავრცელებული სტილი სოციალურ მეცნიერებებში

- ჩიკაგოს სტილი:

https://www.chicagomanualofstyle.org/tools_citationguide/citation-guide-2.html

- ჰარვარდის სტილი:

https://www.mendeley.com/guides/harvard-citation-guide

https://www.citethisforme.com/citation-generator/harvard

- ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაციის (APA) სტილი:

https://www.mendeley.com/guides/apa-citation-guide

http://www.waikato.ac.nz/library/study/referencing/styles/apa/examples/books




## დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ:

წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა: http://css.ge/?p=1345